ი.ჭავჭავაძის გამზირი 84
0162 თბილისი, საქართველო
+995 32 2 25 84 84
info@expertiza.gov.ge

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

№ 5007050526

30/10/2026

5007050526

მოქალაქე მამუკა დარისპანაშვილს

(ქ. თბილისი ვარკეთილის მას. ზემო პლატო II მ/რ კორ. 21 ბ. 15)

ბატონო მამუკა,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2026 წლის 29 ივლისის რეგისტრაციის N1006675326) საფუძველზე, გიგზავნით საინჭინრო ექსპერტიზის N008395826 დასკვნას.

დანართი:
ექსპერტის დასკვნა 05 ფურცლად;

პატივისცემით,

ირაკლი ლიჩელი
ბიუროს უფროსის მოადგილე

5007050526

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ, ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი ____________________

თარიღი 30. 10. 2026 (ხელმოწერა) ბ.ა

008395826

ექსპერტის დასკვნა № 008395826

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მოადგილის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

მისამართი: ქ. თბილისი ვარკეთილის მას. ზემო პლატო II მ/რ კორ. 21 ბ. 15

სახელი და გვარი: მამუკა დარისპანაშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

ლუკა მალანია / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის შეფასების სამმართველოს მოწვეული ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 3 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, აღნიშნულ მისამართზე ჩაატაროთ ექსპერტიზა და დაგვიდგინოთ, არის თუ არა შესაძლებელი კარისა და ფანჯრების ღიობების ამოჭრის საშუალება; არსებული კარი იმდენად პატარაა, რომ ფიზიკურად შეუძლებელია შესვლა. ამიტომ გვსურს ამ ღიობის გადიდება. ასევე გვსურს გვერდიგვერდ მყოფი ორი სარდაფის დამაკავშირებელი ღიობის ამოჭრა.

შემოსვლის თარიღი: 29/07/2026 წ

გასვლის თარიღი: 30/10/2026 წ

დასკვნა

ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლების ზემო პლატოს II მიკრო/რაიონში მდებარე N21 საცხოვრებელი კორპუსის პირველ სადარბაზოში, სარდაფის დონეზე დაგეგმილი ღიობების მოწყობა თეორიულად შესაძლებელია, შესაბამისი კონსტრუქციული პროექტის საფუძველზე, სათანადო გაანგარიშებებისა და საჭირო გაძლიერების ღონისძიებების გათვალისწინებით. ასევე გაძლიერების სამუშაოების შესრულების თანმიმდევრობა და ტექნოლოგია მკაცრად უნდა იქნეს დაცული.

ლუკა მალანია

გამოკვლევა

შემოსული წერილის საფუძველზე (ბიუროს რეგისტრაციის #1006675326-29/07/2026წ.) 2026 წლის 17 ოქტომბერს განხორციელდა გასვლა, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლება, ზემო პლატო, II მიკრო/რაიონში მდებარე N21 საცხოვრებელი კორპუსის სარდაფის დონეზე არსებული კარის ღიობის გაფართოების, ფანჯრის ღიობების მოწყობისა და ერთმანეთის მომიჯნავე ორი სარდაფის დამაკავშირებელი ღიობის გაჭრის შესაძლებლობის დასადგენად.

შენობა ცბრასართულიანია, ერთი მიწისქვეშა სართულით და შედგება ხუთი სადარბაზოსგან (იხ. ფოტო 1-:-4). განთავსებულია მცირედ ქანობიან რელიეფზე. შენობა გეგმაზე მართკუთხა ფორმისაა, მისი მაქსიმალური მიახლოებითი ზომები გეგმაზე 12.00x100.00 მ-ია და გადაწყვეტილია მზიდი კედლების ვარიანტში. კედლების სისქე 40 სმ-ია და ამოყვანილია ბეტონის მსხვილი საკედლე ბლოკებით, ხოლო სარდაფის შიდა განივი კედლები - ბეტონის მსხვილი ბლოკებითაა გადაწყვეტილი (იხ.

ფოტო 5; 6). სართულშუა გადახურვები შესრულებულია რკინაბეტონის ანაკრები ფილებით. საძირკვლები სავარაუდოდ ლენტური ტიპისაა. სართულშუა გადახურვის დონეზე ანაკრები ბლოკებით მოწყობილია ანტისეისმური სარტყელი.

გამოკვლეული სარდაფის სივრცეები განთავსებულია შენობის პირველ სადარბაზოში. წინამდებარე გამოკვლევის ფარგლებში განიხილება არსებული კარის ღიობის გაფართოების, ფასადზე ორი ახალი ფანჯრის ღიობის მოწყობისა და შიდა სივრცეში ერთმანეთის მომიჯნავე ორი სარდაფის დამაკავშირებელი ახალი ღიობის გაჭრის შესაძლებლობის დადგენა.

ვიზუალური გამოკვლევით შენობის ფასადებზე, ასევე გამოკვლეული სარდაფის მზიდ კედლებში მნიშვნელოვანი დაზიანებები, ბზარებისა და დეფორმაციების სახით, არ გამოვლენილა (იხ. ფოტო 7-:-10). რაც შეეხება დაგეგმილ სამუშაოებს, მათი განხორციელება თეორიულად შესაძლებელია. თუმცა, ვინაიდან აღნიშნული სამუშაოები დაკავშირებულია შენობის მზიდ კონსტრუქციებში ჩარევასთან, საჭიროა შესაბამისი კონსტრუქციული პროექტის დამუშავება, რომლის ფარგლებშიც უნდა დაზუსტდეს მოსაწყობი ღიობების ადგილმდებარეობა და გაბარიტული ზომები. ამასთან, შესაბამისი კონსტრუქციული გაანგარიშებების საფუძველზე უნდა შემოწმდეს არჩეული ღიობების გაბარიტული ზომებისა და განლაგების შესაძლებლობა და განისაზღვროს საჭირო გაძლიერების ღონისძიებები, მოქმედი სეისმური ნორმებისა და მოთხოვნების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შენობის მზიდი კონსტრუქციების სიმტკიცის, სიხისტისა და მდგრადობის შენარჩუნება. ასევე, არსებული კარის ღიობის გაფართოებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს საძირკვლის კონსტრუქციების მდებარეობა, ხოლო პროექტში განისაზღვროს ღიობების მოწყობისა და საჭირო გაძლიერების სამუშაოების შესრულების თანმიმდევრობა და ტექნოლოგია, რაც მკაცრად უნდა იქნეს დაცული. სამუშაოები უნდა განხორციელდეს ვიბრაციების მინიმუმამდე შემცირებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული შენობის არსებული მზიდი კონსტრუქციების დაზიანება.

ამრიგად, ქ. თბილისში, ვარკეთილის დასახლების ზემო პლატოს II მიკრო/რაიონში მდებარე N21 საცხოვრებელი კორპუსის პირველ სადარბაზოში, სარდაფის დონეზე დაგეგმილი ღიობების მოწყობა თეორიულად შესაძლებელია, შესაბამისი კონსტრუქციული პროექტის საფუძველზე, სათანადო გაანგარიშებებისა და საჭირო გაძლიერების ღონისძიებების გათვალისწინებით. ასევე გაძლიერების სამუშაოების შესრულების თანმიმდევრობა და ტექნოლოგია მკაცრად უნდა იქნეს დაცული.

ლუკა მალანია

გამოყენებული მასალები

- „საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია". თბილისი 1992 წ.
- ᲡᲜ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა".

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ავთანდილ რომელაშვილი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

008395826

ექსპერტის დასკვნა № 008395826

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8

008395826



ფოტო 9



ფოტო 10